საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კრუბერის უფსკრული

კრუბერის უფსკრული

კრუბერის უფსკრული, მსოფლიოს უღრმესი კარსტული სიღრუე. მდებარეობს დას. საქართველოში (აფხაზეთის არ), გაგრის მუნიციპალიტეტში, არაბიკის კირქვული მასივის ცენტრ. ნაწილის დას. განშტოების ბერჭილის ქედზე, ზ. დ. 2320 მ-ზე. გამომუშავებულია ზედაიურულ კირქვებში. ვიწრო დერეფნებისა და მომცრო დარბაზების მონაცვლეობით უფსკრული საფეხურებად ეშვება 150 მ სიღრმემდე და ვიწრო, ვერტიკალურ ნაპრალს ებჯინება.

მღვიმეს აქვს მრავალრიცხოვანი განშტოებები. „მიწისქვეშა ევერესტის“ სახელით ცნობილი უფსკრულის გამოკვლეული ჯამური სიღრმეა 2191 მ, ჯამური სიგრძე – 13232 მ. ჰაერის ტემპ-რა 60 მ სიღრმეზე 2–30ºC, ხოლო წყლისა – 1,50ºC. უფსკრულში არის რამდენიმე გამდინარე ნაკადი.

უფსკრულის ზედა ნაწილი 150 მ სიღრმემდე აღმოჩენილი და გამოკვლეულია ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტის სპელეოსაექსპედიციო რაზმის მიერ 1960 (ხელმძღვ. ლ. მარუაშვილი). მღვიმური სისტემის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კიევისა და სამარის (ყოფ. კუიბიშევი) სპელეოექსპედიციებმა.

მღვიმეს სახელი ეწოდა კარსტის ერთ-ერთი მკვლევრის, ა. კრუბერის (რუს.) პატივსაცემად.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ,. ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი. თბ., 2009.

ლ. მარუაშვილი